N 1101911 10 ივლისი 2020

სპეციალური პენიტენციური სამსახურის

გენერალურ დირექტორს ბ-ნ გიორგი პატარიძეს

ბატონო გიორგი,

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ გაეცნო თქვენს 2020 წლის 02 ივლისის წერილში ასახულ საკითხებს პენიტენციურ დაწესებულებებში შემსვლელ/გამომსვლელ პირთა პირად არასრულ შემოწმებასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც გაცნობებთ შემდეგს:

კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებაში პირთა შესვლისა და შემოწმების წესები რეგულირდება ამ დაწესებულებათა შესაბამისი დებულებებით. მაგალითისათვის, #8 პენიტენციური დაწესებულების დებულების, რომელიც დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 27.08.2015 წლის #117 ბრძანებით, 64-ე და 64^1-ე მუხლებში გაწერილია პირადი არასრული და პირადი სრული შემოწმების წესები და გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე საკითხს.

კერძოდ, ზემოაღნიშნული დებულების მიხედვით, პირადი არასრული შემოწმება საერთოდ არ ითვალისწინებს პირის შემოწმებას რენტგენული დანადგარის მეშვეობით, ხოლო პირადი არასრული შემოწმებისას ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დათვალიერება ხდება გაშიშვლების გარეშე (დებულების 64-ე მუხლის, მე-3 პუნქტი).

ამასთან, ამავე დებულების 64-ე მუხლის მე-5 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულია პირის არასრული შემოწმება ორი ალტერნატიული მეთოდით: (1) “პირს შეეთავაზება, გაიაროს თაღურ მეტალმძებნში” ან (2) “მისი არქონის შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ხელით შემოწმებას”, რაც როგორც დებულების 64-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ისე 64-ე მუხლის მე-5 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის მიხედვით არ გულისხმობს ფეხის გაშიშვლებას ანდა ფეხსაცმლის გახდას.

ამასთან, პირის არასრული შემოწმების უკონტაქტო ფორმა ითვალისწინებს პირის შემოწმებას არა რენტგენური დანადგარით/სკანერის აპარატით, არამედ თაღური მეტალმძებნით.

ზემოაღნიშნული დებულების 64-ე მუხლის მე-8 პუნქტი ნათლად განსაზღვრავს, რომ პირის არასრული შემოწმების დროს, რენტგენური დანადგარის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პირის თანმქონი ნივთების შემოწმების მიზნით. უფრო მეტიც, ამავე დებულების 22-ე მუხლის მე-16 პუნქტში, რომელიც ეხება ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოწმებას, პირდაპირაა მითითებული, რომ "რენტგენის აპარატურის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ტანსაცმლისა და ნივთიერების შემოწმებისას".

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 27.08.2015 წლის #117 ბრძანებით დამტკიცებული დებულება რენტგენური დანადგარის/სკანერის აპარატის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ პირის სრული შემოწმების დროს, რასაც თავისი წინაპირობები გააჩნია. როგორიცაა მაგალლითად: (ა)... თაღური მეტალმძებნის სიგნალიზაციის განმეორებით ამოქმედება; (ბ)... ობიექტური პირის დასაბუთებული ვარაუდი აკრძალული ნივთის დაწესებულებაში შეტანის განზრახვის თაობაზე და ა.შ. (დებულების 64^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ბოლო დღეების განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციას არაერთმა ადვოკატმა მომართა, რომლებიც აღწერენ პენიტენციურ დაწესებულებებში (მაგალითად, ქუთაისის #2 პენიტენციური დაწესებულება) შესვლისას, პირადი არასრული შემოწმების უხერხული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების ფაქტებს, რაც გამოიხატება დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ადვოკატისათვის ფეხსაცმლის გახდის მოთხოვნაში. აღნიშნული კი, როგორც ზემოთ განხილული დებულების ანალიზით ირკვევა, გახლავთ პირადი არასრული შემოწმების წესის შეუსაბამო.

შემოწმების ალტერნატიული/უკონტაქტო მეთოდის სახით პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ადვოკატებს სთავაზობენ რენტგენური აპარატის/სკანერის გამოყენებას, რაც აგრეთვე არაა გათვალისწინებული კანონმდებლობით პირადი არასრული შემოწმების დროს და შესაბამისად კანონშეუსაბამოა, რადგანაც დებულება აღნიშნული მეთოდისათვის ითვალისწინებს მეტალმძებნის და არა რენტგენის აპარატის გამოყენებას.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ხასიათის პროცედურები უპირველეს ყოვლისა ეწინააღმდეგება თავად პენიტენციური სამსახურის მიერ დამტკიცებულ რეგულაციებს, დაწესებულებებში შემსვლელთა შემოწმების კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს და შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ადვოკატთა პროფესიული ღირსების შემლახველ ქმედება.

ამასთან, რადგანაც ზოგიერთი პენიტენციური დაწესებულების დებულება სრული შემოწმების დროს ითვალისწინებს რენტგენური დანადგარის/სკანერის აპარატის გამოყენებას, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატებს დღის განმავლობაში უხდებათ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა არაერთგზის მონახულება, გთხოვთ, წარმოგვიდინოთ სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ მიერ ჩატარებული კვლევების და მიღებული დასკვნების დეტალური დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ სრული შემოწმების დროს, დაწესებულებებში განთავსებული რენტგენის /სკანერის დანადგარის ხშირი გამოყენება არის უსაფრთხო, არ ახდენს მავნე ზემოქმედებას ადვოკატის ჯანმრთელობაზე და ამ კუთხით არ იწვევს რაიმე გართულებებს.

გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ აღნიშნული საკითხი და უზრუნველყოთ, რომ ადვოკატის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებებში თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ იქნას გამოყენებულ პირადი შემოწმების კანონშეუსაბამო და ღირსებისშემლახველი წესები, ხოლო ტექნიკური დანადგარები არ ახდენდეს მავნე გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

პატივისცემით,

დავით ასათიანი

თავმჯდომარე